

დაცული ტერიტორიები - კონფლიქტის წყარო თუ კონფლიქტის გადაჭრის საშუალება

ქეთევან გლოველი

*სახელმწიფო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბიზნესის
ადმინისტრირება ბუნებათსარგებლობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

(ბუნებათსარგებლობა MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირაკლი მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

დაცული ტერიტორიების არსებობა და მათი სწორი ფუნქციონირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში. კვლევითი მიზანია, დადგინდეს თუ რამდენადაა მათი დაარსებისა და მართვის პროცესში გათვალისწინებული საზოგადოების ჩართულობა და რა შედეგები მოჰყვება ამას. ამისათვის, განხილულ იქნა სხვადასხვა ლიტერატურა, ანგარიშები, კვლევები. ასევე მოხდა საჯარო ინფორმაციის დამუშავება, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი; ჩატარდა ინტერვიუები ისეთ კომპეტენტურ პირებთან, რომელთაც უშუალოდ ჰქონდათ შეხება დაცული ტერიტორიების შექმნასთან და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან.

კვლევამ აჩვენა, რომ დაცული ტერიტორიების დაარსებისას საზოგადოების არასწორი ჩართვა მათ მიმართ ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ამას იწვევს, საზოგადოების მონაწილეობის ნაკლებობა, დაცული ტერიტორიისთვის არასწორი კატეგორიის მინიჭება, ხარვეზები დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენისას და არსებული მიწათსარგებლობის არასრულყოფილი გათვალისწინება. ამ ყოველივეს გათვალისწინების შემთხვევაში კი მოსახლეობის განწყობა დადებითისკენ იცვლება და ზოგჯერ თავად ითხოვენ დაცული ტერიტორიის შექმნას/გაფართოებას. ამასთანავე ადგილობრივი მოსახლეობა დაცული ტერიტორიის შექმნას მიწაზე ტრადიციული საკუთრების უფლების შენარჩუნების, ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვისა და სოციო-ეკონომიკური განვითარების საშუალებად მიიჩნევს.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისა და ინფორმაციის მოწოდებისთვის:

ეკატერინე კაკაბაძეს - „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“ (SPPA-საქართველო), ეროვნული კოორდინატორი;

ავთანდილ მჭედლიძეს - ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი;

ირაკლი გორაძეს - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით მიმდინარე პროექტის („აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“) მენეჯერი;

გიორგი ცინცაძეს - ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის დაარსებასთან დაკავშირებული პროექტის კოორდინატორი, ბუნების მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისი (WWF Caucasus PO);

ანზორ გოგოთიძეს - პროექტის მენეჯერი, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში, დაცული ტერიტორიების მართვის ექსპერტი;

ზურაბ მანველიძეს - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია მთა და ბარი, აჭარა;

მარიკა ქავთარიშვილს - „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“ (SPPA-საქართველო) პროექტის კონსულტანტი, IUCN (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი) კავკასიის თანამშრომლობის ცენტრის წარმომადგენელი;

ნუგზარ ზაზანაშვილს - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბუნების მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისის (WWF Caucasus PO) კონსერვაციის პროგრამის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მაკა ბიწაძე - ბუნების მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისის (WWF Caucasus PO) კონსერვაციის რეგიონული ოფიცერი;

გაგა შეთეკაური - ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის დირექტორი;

ხათუნა წიკლაურს - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და გავნიტარების სამსახურის თანამშრომელს;

ნინო ზაალიშვილს - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოების ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელს;

დაცული ტერიტორიების სააგენტოს.